

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

*2424

"საქართველო
მდგრადი ქვეყანაა"

A3



გაერო-ს
კონფერენციის
სკანდალი

A8



დიპლომატი

A10



24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



პანის სადაზღვეო ჯგუფი

რუსეთის დაბვიანებული მსვლელობა

რუსეთის არგუმენტებს საქართველოში ნატო-ს წევრების ჩატარების წინააღმდეგ, არც ვაშინგტონში და არც ბრიუსელში ყურად არ იღებენ. მოსკოვი ამჟამად ცდილობს, მანევრებში მონაწილეობა უახლოეს მოკავშირეებს მაინც გადააფიქრებინოს. ოფიციალური მოსკოვი ალიანსთან ურთიერთობის გაუარესების მიზნად ავგისტოს ომის განხილვებულ შეფასებას ასახელებს. რუსი ექსპერტები კრემლის მოტივაციაზე გულწრფელად საუბრობენ - რუსეთისთვის მთავარი დარტყმა ალიანსის მიერ საქართველოს პოლიტიკური კურსის მხარდაჭერაა, რასაც დაგეგმილი წევრები ნათლად დაადასტურებს.

დმიტრი ავალიანი

აშშ საქართველოში ნატო-ს სამხედრო წევრების ჩატარებას მხარს უჭერს და კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ეს რუსეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

როგორც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რობერტ ვუდმა განაცხადა, "ნატო-ს სწავლების ჩატარება საქართველოსთან ურთიერთობის

ნორმალური ნაწილია და რუსეთს არაფერი ემუქრება."

"აღნიშნული სწავლების მიზანია ნატო-ს შესაბამის სტანდარტებთან დაახლოებაში დახმარება. ჩვენთვის ცნობილია, რომ რუსეთი შეშფოთებულია ამ სწავლებით, თუმცა ის რუსეთისთვის ან ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და დიდი ხნით ადრე დაიგეგმა," - განაცხადა ვუდმა.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე



ჭეიშ ავატური

რეპრონული კოლონა

დათო გაბისონია

საპროტესტო აქციაზე ოპოზიციის ლიდერთა გამოსვლები კვლავინდებურად 15:00 საათის შემდეგ დაიწყო. გუშინდელი მიტინგი საქართველოს რეგიონებიდან მხარდამჭერთა ჩამოსვლის მოლოდინში მიმდინარეობდა. შეკრებილ ხალხს მუდმივად აწვდიდნენ ინფორმაციას თბილისისკენ მომავალი ავტომობილების კოლონის შესახებ. ზოგი გამომსვლელის თქმით, მაგისტრალზე ავტომანქანების კოლონის სიგრძე 5 კმ იყო, ხოლო ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ "რეგიონებში უამრავი მსურველია, ამიტომ ავტომანქანების რაოდენობა ვერ დავთვალეთ, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ 7-კილომეტრიანი კოლონაა, ათეულობით ათასი ადამიანი."

ბაზრძალაბა A2 გვერდზე



ბიურბა ბახაიანი - ფოტო

GROWING PAINS

წინააღმდეგ ამერიკელი კოლონისტების მიერ გამართული აქციის მსგავსად, ორგანიზატორებმა "ჩაის წვეულების" პროტესტი დაარქვეს, თუმცა აქციების დრამატურგიის მეტი ისტორიული ანალოგიებით შემკობა და ამერიკული რევილუციის თემის გამოხმობა ანალებიდან არავის უცდია. ან იქნებ სცადა კიდევ და უბრალოდ ნაციონალური მედიის ყურადღება ვერ დაიმსახურა.

საერთოდ, ლიბერალურმა მე-

დიამ, ეს კი ამერიკაში სატელევიზო მაუწყებელთა უმეტესობაა, აპრილის "ჩაის წვეულება" ზერეულედ გააშუქა. საპროტესტო აქციებს ვრცელი პირდაპირი საერთო დრო ნაციონალურმა კონსერვატიულმა მედიამ დაუთმო. დემოკრატიებმა აქციის ორგანიზატორი რესპუბლიკელები მკაფიო ალტერნატიული პოლიტიკის არქონაში დაადანაშაულეს. ცნობილია ლიბერალმა ტელეწამყვანმა რესპუბლიკელების მისამართით დაახლოებით ასეთი

რამ განაცხადა: "რთულია ილაპარაკო, როდესაც ჩაით გაქვს პირი საფეხი" ('It's Hard to Talk When You're Tea-Bagging'). ამერიკელ მსმენელებს ცხადია ტერმინ "Tea-begging"-ის ურბანული მნიშვნელობის გასარკვევად ლექსიკონის დახმარება არ ჭირდებათ და ეს ვულგარული კომენტარი ლიბერალი და კონსერვატორი მიმომხილველების განხილვის ცხარე თემა გახდა.

ბაზრძალაბა A4 გვერდზე

ნორვეგიული მოსამართლეების ვიზიტი უზენაეს სასამართლოში

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი ნორვეგიულ კოლეგას მასპინძლობს. ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ტორე შეი ორ მოსამართლესთან ერთად 21 აპრილიდან თბილისში იმყოფება.



უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი ნორვეგიულ კოლეგას მასპინძლობს.

ნორვეგიული მოსამართლეები საქართველოში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კონსტანტინე კუბლაშვილის მოწვევით იმყოფებიან. ვიზიტის პირველ დღეს ნორვეგიელმა სტუმრებმა დაათვალიერეს მცხეთის რაიონული სასამართლო, ასევე გაეცნენ მაგისტრატის სასამართლოს მუშაობის სპეციფიკას. გუშინ ნორვეგიელი მოსამართლეები უზენაეს სასამართლოს ესტუმრნენ. შენობის დათვალიერების შემდეგ, ქართველი მოსამართლეების მონაწილეობით გაიმართა კონფერენცია თემაზე - "საკასაციო სასამართლოს როლი მართლმსაჯულების განვითარებაში".

კონსტანტინე კუბლაშვილმა ნორვეგიელი მოსამართლეების ვიზიტის შეფასებისას განაცხადა, რომ რეფორმის პროცესში მყოფი ქართული სასამართლოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია უცხოური პრაქტიკის გაცნობა და გაზიარება, ეს ურთიერ-

ლობა კი გაცილებით ნაყოფიერია, როცა ორი ქვეყნის სასამართლო სისტემები ერთმანეთს ჰგავს. "ქართული და ნორვეგიული სასამართლო სისტემები ინსტიტუტურად ბევრი ასპექტით ერთნაირადაა მოწყობილი. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ნორვეგიის კანონის უზენაესობის მისიასთან და ეს შეხვედრებიც ამ თანამშრომლობის ერთგვარი გამოძახილია," - განაცხადა ჟურნა-

ლისტებთან საუბრისას კონსტანტინე კუბლაშვილმა. მედიისთვის კომენტარი ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემაც გააკეთა. ბატონი ტორე შეის განცხადებით, ქართველ კოლეგებთან მას უკვე დიდი ხნის საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს და შესაბამისად, საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმებზეც აქვს ინფორმაცია. "ჩემი აზრით, სასამართლოში რეფორმა წარმატებით

მიმდინარეობს და ჩვენ უკვე ვხედავთ რეფორმის შედეგებსაც," - ასე შეაფასა ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ქართულ სასამართლოში განხორციელებული ცვლილებები. ნორვეგიელი მოსამართლეები 23 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ეწვევიან. დაგეგმილია შეხვედრა იუსტიციის მინისტრთან. უცხოელი სტუმრები თბილისს 25 აპრილს გამთენიისას დატოვებენ.

"ეროვნული ფორუმის" ფოთიდან მომავალი წევრი ელდარ ჭაფანიძე ოთხმა ნიღბიანმა ცემა

"ეროვნული ფორუმის" ფოთიდან მომავალი წევრი ელდარ ჭაფანიძე ოთხმა ნიღბიანმა ცემა. "ეროვნული ფორუმის" წარმომადგენლების ინფორმაციით, ჭაფანიძე ბათუმიდან მომავალ კოლონასთან შესაერთებლად საკუთარი ავტომობილით ფოთიდან მოდიოდა, როდესაც ოთხმა ნიღბიანმა გზა ჩაუჭრა, ავტომანქანიდან ძალის გამოყენებით გადმოიყვანა და სასტიკად სცემა. "ჩვენი პარტიის წევრს ელდარ ჭაფანიძეს სუფსასთან გზა ჩაუჭრეს და ოთხმა ნიღბიანმა სასტიკად სცემა. მათ წინ საპატრულო პოლიციის მანქანა მიუძღოდა, რომელმაც ინციდენტის დასახვისთანავე იქაურობა დატოვა. ჭაფანიძე ამ დროისთვის ფოთში დააბრუნეს," - განაცხადა "ფორუმელების" პრესსამსახურის ხელმძღვანელმა მაგდა პოპიაშვილმა. **პირველი**

"ალიანსის საქართველოსთვის" წევრის ბინაზე ყაჩაღურ თავდასხმაში ეჭვმიტანილი დააკავეს

სამართალდამცველებმა "ალიანსის საქართველოსთვის" წევრის ლევან მიქელაძის ბინაზე ყაჩაღურ თავდასხმაში ეჭვმიტანილი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა წარსულში ქურდობისა და ყაჩაღობისათვის სამჯერ ნასამართლევი, 1960 წელს დაბადებული თეიმურაზ ქარჩავა დააკავეს. ეჭვმიტანილი ამოიცნეს როგორც დაზარალებულმა, ისე კერძო ტაქსის მძღოლმა, რომელმაც იგი შემთხვევის ადგილზე მიიყვანა. დაკავებულმა დანაშაული უკვე აღიარა. გამოძიება სსკ-ის 179-ე მუხლით მიმდინარეობს. მას თბილისის მთავარი სამმართველო აწამოებს. **პირველი**

მაისურაძემ თავისი ჭაშუშობის შესახებ ტელევიზიით შეიტყო

სოჭში მცხოვრებმა ქართველმა ბიზნესმენმა მამუკა მაისურაძემ ტელევიზიით შეიტყო, რომ თურმე, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის მას ბრალს სდებს შპონაჟში, მეტიც, თითქოს იგი დააკავეს კიდევ. ეს განცხადება მაისურაძემ თბილისში ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა. მისი ინფორმაციით, ის სოჭში სხვა ქართველ ბიზნესმენებთან ერთად 2009 წლის თებერვალში მართლაც დააკავეს, მაგრამ სამსახურის დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს. მამუკა მაისურაძის ინფორმაციით, ამ ინციდენტის შემდეგ, ის არავის შეუწუხებია და ის თავის ინტერნეტ-კავეს წყნარად მართავდა.

"15 აპრილს თბილისში ჩამოვედი აღდგომის აღსანიშნავად. არავის არ გამოუძევებია, ტელევიზიის საშუალებით შევიტყვე, რომ თურმე საკადრო მზევერაგი ვყოფილვარ," - აცხადებს მაისურაძე. რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალური ინფორმაციით, მათ სოჭში დააკავეს საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი მამუკა მაისურაძე, რომელიც ინტერნეტ-კავეს მეშვეობით კურატორებთან კონტაქტებს ამყარებდა, ჯაშუსურ ქსელს ქმნიდა და სოჭის ოლიმპიადის მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაციებს აგროვებდა. **მედიანუსი**

ავტოსაგზაო შემთხვევა თბილისში

თბილისში, ჯორჯ ბუმის ქუჩაზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას 23 წლის მამაკაცის სიცოცხლე შეეწირა. გუშინ, ღამით ერთმანეთს "ჰიუნდაისა" და "ოპელის" მარკის ავტომანქანები შეეჯახნენ, რის შედეგადაც ორივე საავტომობილოდან დაღუპულნი. შემთხვევაში მყოფი მამაკაცი და ახალგაზრდა ქალი მსუბუქად დაზარდნენ, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურმა ისინი ქალაქის პირველ საავადმყოფოში გადაიყვანა. მომხდარს საგამომძიებო ჯგუფი იძიებს. **პირველი**

საჯარო რეესტრის თანამშრომლები საერთაშორისო კონფერენციაზე

საჯარო რეესტრის თანამშრომლები საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობენ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 22-24 აპრილს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მიმდინარე საერთაშორისო სემინარში "მინის ადმინისტრირების გაუმჯობესება და მონაცემთა მართვის მეთოდების გამოცდილება ევროკომისიის ქვეყნებში" საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ეკა მესხიძე და რეგისტრაციისა და კადასტრის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი ნინო ბახია მონაწილეობენ. ამ სემინარზე ეკა მესხიძე პრეზენტაციას თემაზე "საქართველოში მინის ადმინისტრირების მონაცემებზე საჯარო წვდომა" გამართავს. საერთაშორისო სემინარი გაეროს ეკონომიკური კომისიის მინის ადმინისტრირების სამუშაო ჯგუფისა და ბულგარეთის რესპუბლიკის გეოდეზიის, კარტოგრაფიისა და კადასტრის სააგენტოს ორგანიზებით ტარდება. **პირველი**

აქედან იქით

სოფიო თოღაა

ისინი, რა თქმა უნდა, დამნაშავეები არიან და ამიტომაც იმყოფებიან ციხეში. ამ ციხეს სრულად ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელით დაწესებულება ჰქვია, იქ მყოფი ადამიანები კი... ბიჭები არიან, რომლებიც სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულის გამო იხდიან სასჯელს. იქიდან გამოსული ვინ რა გზას დაადგება, პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ ასევე შეუძლებელია იმ ფაქტის უარყოფა, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებებში მოხვედრილ ადამიანებს, მით უფრო არასრულწლოვანებს, ადამიანური მოპყრობა სწორედ მაკარი რეჟიმის პირობებში სჭირდებათ. ვერ გეტყვით, დღესაც რატომ იმალება საკულდაგულოდ ყველა ინფორმაცია, რაც პენიტენციურ სისტემას ეხება, მათ შორის ისეთიც, რაც ამ სფეროში წინ გადადგმულ ნაბიჯებზე მეტყველებს. არადა, ასეთი ნაბიჯები ჩვენთანაც იდგმება და ეს წერილიც ამასვე მოწმობს.



ავჭალის კოლონიაში მინანქრის სწავლება დაინერგა.

არაჩვენებურად კი ახალგაზრდები, დაახლოებით ორასამდე არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მთლად ორასი თუ არა, არც ბევრად ნაკლები პრობლემაა გადასაჭრელი. ვიღაცას ჯგუფური თერაპიის სეანსები შევლის, ვიღაც მხოლოდ ინდივიდუალურ შეხვედრებს თანხმდება, ისეთებიც იქნებიან, ფსიქოლოგების ციხეში შესვლას თავიდან აგრესიით რომ შეხვედებოდნენ. ამ ბავშვებისთვის კონტაქტი გარე სამყაროსთან დღეს მხოლოდ ახლობლებთან პაემნებით არ შემოიფარგლება. ნამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT) ექსპლანანი ძალისხმევით შედეგად, რაც პრობლემების ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვარებას გულისხმობს, ახლა უკვე ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის ინიციატივაც დაემატა და ავჭალის კოლონიაში მინანქრის სწავლება დაინერგა. რადგან ტიხრული

მინანქრით გატაცება "გარეთაც" მოდაშია, ძალაუზნებურად ჩნდება შეკითხვა: მაინც, რა უნდა გააკეთონ ისეთი ავჭალის კოლონიაში, რაც სხვებს სამხატვრო სალონებსა თუ სასწავლებლებში არ შეუქმნიათ? თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გამოყენებითი ხელოვნების ამ დარგის დაუფლება საკმაოდ ძნელია და მომინანქრების რთულ ტექნიკას ძალით ვერც სასჯელალსრულების დაწესებულებაში შეასწავლი, უნდა ვაღიაროთ, რომ იქ დამზადებულ ნივთები არაფრით არ ჩამოუფარდება უკვე პოპულარული მხატვრების ნაკეთობებს. და ეს მხოლოდ დასაწყისია, რადგან იმ 200 ბიჭიდან ჯერჯერობით მხოლოდ 20 ეუფლება ამ საჭირო პროფესიას. ერთია, როცა დახურულ სივრცეში მყოფი ადამიანი შრომის ფასს უგებს გემოს და მეორე, სად გამოიყენებს კოლონიაში მიღე-

გაერო-ს კონფერენციის სკანდალი

ირანს ბან კი მუნიც აკრიტიკებს

მარიკა იაშვილი

ირანს ახალი ბალისტიკური რაკეტა აქვს. პირველი განცხადება შორი მოქმედების რაკეტის შექმნის შესახებ, რომელიც თავის წინამორბედებს ბევრად აღემატება, ირანის თავდაცვის მინისტრმა მუსტაფა მოჰამედ ნაჯარმა გააკეთა. მისი თქმით, "საჯილი" სრულიად ახალი თაობის რაკეტაა, რომლის თვისობრივი მაჩვენებლები ოფიციალურად უახლოეს პერიოდში გამოქვეყნდება.

"საჯილზე" საუბრისას ირანის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა მკაფიოდ აღნიშნა, რომ ქვეყნის შეიარაღებული ძალები მზად არიან, ნებისმიერ აგრესორს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიონ.

ნაჯარის გამოსვლის პარალელურად ირანის სახელმწიფო ტელევიზიამ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომ თეირანი დასავლეთთან კონსტრუქციული დიალოგისთვის მზად არის, თუმცა ბირთვული პროგრამის შეჩერებას არ აპირებს.

უკვე რამდენიმე კვირაა, კონსტრუქციული დიალოგისთვის მზადყოფნას აცხადებს ირანის პრეზიდენტიც. მაჰმუდ აჰმადინეჯადი ამბობს, რომ ოფიციალური ფხენიანი მზად არის, რომ ბირთვულ პრობლემებზე მოლაპარაკებები "სუფთა ფურცლიდან" განაახლოს, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავის პოზიციას მეორე მხარეც შეცვლის და არ ეცდება, ირანს თავისი ნება მოახვიოს თავზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ირანელი ლიდერის თქმით, საქმე "მკვდარი ნერტილიდან არ დაიძვრება."

თუმცა სწორედ მაშინ, როდესაც ოფიციალური თეირანი დასავლეთისთვის ახალ შეთავაზებას პაკეტზე მუშაობს, ირანმა მათთან ურთიერთობა კიდევ ერთხელ გაიფუჭა. პრეზიდენტ აჰმადინეჯადის გამოსვლა გაერო-ს კონფერენციაზე, რო-



ბან კი მუნის განცხადებით, ირანის პრეზიდენტმა კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლის უფლებით ბოროტად ისარგებლა

მელიც რასიზმთან ბრძოლას ეძღვნებოდა, მძაფრი კრიტიკისა და ბოიკოტის მიზეზი გახდა. კონფერენციის მონაწილეთა გარდა, აჰმადინეჯადი ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმაც გააკრიტიკა.

ბან კი მუნის განცხადებით, ირანის პრეზიდენტმა კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლის უფლებით ბოროტად ისარგებლა და ისრავლი რასიზმში დაადანაშაულა, რამაც კონფერენციის მონაწილეთა აღშფოთება გამოიწვია და ევროკავშირის წევრი ქვეყნების დელეგატებმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვეს.

კრიტიკას არ ეთანხმება ოფიციალური თეირანი, რომელიც ბან კი მუნის პოზიციას "ცალმხრივს" უწო-

დებს. საინტერესოა, რომ ირანში დაბრუნებულ პრეზიდენტს, გავრცელებული ინფორმაციით, "სენსაციური" დახვედრა მოუწყვეს.

კონფერენციაზე მომხდარი სკანდალის მიუხედავად, გაერო-ს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ირანის ლიდერმა შეცვალა თავისი გამოსვლის ის ნაწილი, სადაც ჰოლოკოსტზე იყო საუბარი.

ტექსტის პირველ ვერსიაში ნათქვამი იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთმა "სამხედრო აგრესიას მიმართა, რათა ებრუნებოდა ტანჯვისა და ჰოლოკოსტის არაერთმნიშვნელოვანი და საეჭვო საკითხის საბაბით უამრავი ადამიანი უსახლკაროებად ექციათ," რის შემდეგაც ებრაელი ემიგრანტები

აშშ-დან და ევროპიდან ახლო აღმოსავლეთში გადაასახლეს, რათა მათ ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიაზე აბსოლუტურად რასისტული მმართველობა შეექმნათ.

გაერო-ში აცხადებენ, რომ სიტყვების "არაერთმნიშვნელოვანი და საეჭვო" ნაცვლად, ირანელმა ლიდერმა "ჰოლოკოსტის საკითხის ბოროტად გამოყენება" თქვა.

მიუხედავად ამისა, გაერო-ს გენერალური მდივნის მიერ მალტაში ვიზიტის დროს გაკეთებული განცხადების მიხედვით, იგი "ძალიან ნუსხს, რომ ირანის პრეზიდენტმა კონფერენცია პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენა."

"გამოსვლამდე პრეზიდენტ აჰმადინეჯადთან ხანგრძლივი ორ-

ბრივი შეხვედრა მქონდა, რომლის დროსაც მას კონფერენციაში დაბალანსებული და კონსტრუქციული წვლილის შეტანა შეეთავაზებ, რადგან ის იყო სახელმწიფოს ერთადერთი მეთაური, რომელიც კონფერენციას ესწრებოდა," - აღნიშნა ბან კი მუნმა.

მისი გამოსვლის შემდეგ, მინიმუმ, 30 ქვეყნის დელეგატმა სხდომათა დარბაზი დატოვა, ხოლო დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენელმა ოფიციალურმა პირებმა გამოსვლა გააკრიტიკეს. საინტერესოა ისიც, რომ დარბაზში დარჩენილი ბევრი დიპლომატი აჰმადინეჯადის გამოსვლის დროს ტაშს უკრავდა.

მთელმა რიგმა ქვეყნებმა კი აჰმადინეჯადის მონაწილეობის გამო ლონისძიებისთვის ბოიკოტის გამოცხადება ჯერ კიდევ სხდომის დაწყებამდე გადაწყვიტეს.

ბან კი მუნის კრიტიკის ობიექტი არა მხოლოდ აჰმადინეჯადი, არამედ ის დიპლომატებიც გახდნენ, რომლებმაც შეხვედრას ბოიკოტი გამოუცხადეს.

აჰმადინეჯადის გამოსვლას ისრაელიც გამოეხმაურა და მას "შუღლის გაღვივების მცდელობა" უწოდა. საქართველოში ისრაელის საელჩოს მიერ გავრცელებული ოფიციალური განცხადების მიხედვით, მმართველი, რომელმაც უნევის რასიზმის წინააღმდეგ მიმართული კონფერენცია გახსნა, ჰოლოკოსტს უარყოფს და თავის ქვეყანაში უმცირესობათა დევნას პოლიტიკურ კურსად მიიჩნევს. განცხადებაში ნათქვამია, რომ აჰმადინეჯადის გამოსვლა აბსოლუტურად უწინააღმდეგება კონფერენციის მთავარ იდეას - რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლას. ისრაელი მადლიერებას გამოთქვამს იმ ქვეყნების მიმართ, რომელთა წარმომადგენლებმაც ირანელი ლიდერის ექსტრემისტულ და ცილისმამბებლურ გამოსვლას ბოიკოტი გამოუცხადეს და დარბაზი დატოვეს.

საულის დიპლომატიური მისია ფხენიანში

მარიკა იაშვილი

ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა ოფიციალური მოლაპარაკებებისთვის ემზადებიან. შეხვედრა კესონის ინდუსტრიულ ზონაში გაიმართება, რომელიც, დაახლოებით, ოთხი წლის წინათ ჩრდილოეთის ტერიტორიაზე სამხრეთელთა ფულით აშენდა. სეულის დელეგაცია ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით მდებარე სასაზღვრო ზოლში უკვე ჩავიდა. დღის წესრიგის შესახებ კომენტარს ჯერჯერობით არც ერთი მხარე არ აკეთებს, თუმცა ცნობილია, რომ განხილვის მთავრი თემა კესონის საერთო კორეული ინდუსტრიული კომპლექსის მუშაობა იქნება.

გასული წლის შემდეგ ჩატარებული პირველი ოფიციალური დიალოგი სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის, პრაქტიკულად სრულიად გაყინული პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე ჩაივლის. დაძაბულობა, რომელიც ორ ქვეყანას შორის ბოლო პერიოდში არსებობდა, კიდევ უფრო გაიზარდა 5 აპრილს ჩრდილოეთის მიერ რაკეტის გამოცდის შემდეგ, რამაც ვერო-ს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია. პასუხად ოფიციალურმა ფხენიანმა ბოიკოტი გამოუცხადა ექვსმხრივ მოლაპარაკებებს და

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლებს ქვეყანა დაატოვებინა. ოფიციალური ფხენიანის განცხადებით, არ არის გამორიცხული, ქვეყანაში ძირითადი ბირთვული ობიექტების მუშაობა განახლდეს და მსუბუქი ბირთვული რეაქტორის მშენებლობაც დაიწყოს.

ცნობილი გახდა, რომ შეხვედრების დაწყების თარიღი რამდენჯერმე გადაიდო, რადგან მხარეებს ფორმატის შესახებ შეთანხმება გაუჭირდათ.

სეულის შედეგადაც დელეგაციას სათავეში კორეის რესპუბლიკის გაერთიანების სამინისტროს კესონის პროექტის რეალიზების განყოფილების ხელმძღვანელი კიმ ენ თხაკი უდგას. მოლაპარაკებათა ინიციატორი ფხენიანი იყო, რომელმაც განაცხადა, რომ შეხვედრებზე ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე ინდუსტრიული კომპლექსის მომავლის შესახებ მნიშვნელოვანი განცხადებების გაკეთებას აპირებს.

სეული, თავის მხრივ, ეცდება, მიაღწიოს ქარხანა "ჰენდე ასანის" თანამშრომლის გათავისუფლებას, რომელიც ერთი თვის წინათ ჩრდილოეთ კორეის პოლიტიკური სისტემის კრიტიკის და ჩრდილოეთსა და დაბირების მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

კესონის კომპლექსი ერთადერთ



ბირთვულ განიარაღებაზე კიმ ჩენ ირის დარწმუნებას სეულის დელეგაცია ეცდება

თი დღემდე მოქმედი პროექტია საერთო კორეული ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში. სხვა ყვე-

ლა პროექტი, მათ შორის სამხრეთელი ტურისტების მოგზაურობა ჩრდილოეთში მდებარე კიმგანსანის

მთებში, ფხენიანის ინიციატივით მას შემდეგ გაიყინა, რაც სამხრეთ კორეის ხელისუფლებაში მოვიდნენ "კონსერვატორები" ლი მენ ბაკის ხელმძღვანელობით. ბაკმა წინა ხელისუფლების მიერ შემუშავებული ეკონომიკური თანამშრომლობის გეგმის განხორციელებაზე უარი თქვა და განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეისთვის დახმარების აღმოჩნა ნახევარკუნძულის დენუკლიარიზაციის პროცესის წინსვლაზე იქნება დამოკიდებული.

პასუხად ჩრდილოეთ კორეამ სამხრეთელ მეზობელთან ყოველგვარი ოფიციალური ურთიერთობა შეწყვიტა, რამდენიმე მტრულ განცხადება გააკეთა და სამხრეთელს შეახსენა, რომ მათი დედაქალაქი სეული საზღვრიდან მხოლოდ 50 კილომეტრში - ჩრდილოეთს არტილერიის მოქმედების არეალში მდებარეობს.

კესონში ამჟამად ასზე მეტი პატარა და დიდი სამხრეთ კორეული კომპანია მუშაობს. სამხრეთ კორეამ პროექტში 548 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა და 2005 წლიდან საათებს, ტანსაცმელს და ფეხსაცმელს უშვებს. კონფერენციაზე 39 თასამდე ჩრდილოეთ კორეელი დასაქმებული. ექსპერტთა შეფასებით, მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შესაძლებლობა უკიდურესად მცირეა.

რევია

მოსართი კლარნეტების ბარები

მზენა მასხარაძე

სულ ახლახანს კონსერვატორიის დიდ დარბაზში მსოფლიო მასეტრო ავნერ ბირონი მუსიკალური საღამოების სტუმარი გახლდათ, სოლისტი კი ირმა გიგანი... მოცარტის შესასრულებლად მოცარტისტმა დირიჟორმა სცენაზე ორკესტრის არასტანდარტული შემადგენლობა მოინვა - ორკესტრი კლარნეტების გარეშე. ამაღუსის N40 სიმფონია, რომელიც ვენაში 1788 წელს დაიწერა, ისეთი სტილით უღერდა, როგორც ორიგინალში არსებობს. ავნერ ბირონი ყოველთვის ძველ რედაქციას უბრუნდება შესასრულებლად და მასში "სიახლეებს ეძებს".



დირიჟორი ავნერ ბირონი

- საერთოდ ხის ჩასაბერ ინსტრუმენტებს შორის ყველაზე ახალგაზრდა საკრავია კლარნეტი. მოცარტის სიკვდილის მერე ეს ინსტრუმენტი როცა შემოვიდა, შემდეგ მოხდა მასში ცვლილებების შეტანა, მანამდე ეს ნაწარმოები კლარნეტების გარეშე სრულდებოდა. რალაც განსხვავება სიმფონიის ამ ვერსიებს შორის არის, მაგრამ უღერადობის მხრივ მე მაინც ორიგინალი მომწონს, - ამბობს დირიჟორი ავნერ ბირონი.

სადაც დრამატურგია ნათელ ბერებთან ხდება თანაზიარი, აქ ორკესტრის ვირტუოზულობას, ბერების ესთეტიკას დირიჟორმა ის ინტელექტი და შინაარსი მოარგო, რომელიც ზალცბურგის "მოცარტეუმიდან" გამოიყოლა... ის, რომ მუსიკას არა აქვს ეროვნება, სამაგიეროდ აქვს ძალა, კიდევ ერთხელ იგრძნო მსმენელმა.

ქართულ ორკესტრთან სამდღიანი მუშაობის მიღმა, ავნერ ბირონის შემოქმედებით ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ, ისრაელის ცნობილი კამერატას დამაარსებელმა სამუსიკო კარიერა ფლეიტით დაიწყო, დირიჟორობას ვენის მუსიკის აკადემიასა და მოცარტის სამშობლოში დაეუფლა, მერე და მერე კი წარსულზე თავისებურად გაიხუმრა: "ფლეიტაზე

დაკერის დრო ეს იყო სახალისო, მაგრამ მე ვიცოდი, რომ ორკესტრში ჩემი მომავალი სკამზე არ დაისვენებდა..." დღეს უკვე აღიარებულ დირიჟორს მსოფლიოს პრესტიჟულ სცენებზე იწყვევენ, კრიტიკოსები წერენ, რომ ის "სხვანაირად ესმის მოცარტის ბუნება... ის მოცარტის საუკეთესო ინტერპრეტატორია..."

კონცერტის პირველი განყოფილების მერე შესვენება...

"მე მისჯილი მაქვს ირმასთან, კონცერტის დამთავრებამდე კულისებში უნდა ვიდეგე... მის მაგიერად მე ვწერვიულობ. როცა გავა სცენაზე და პირველი ფრაზებს გავივებ - როგორი სიმშვიდით დაიწყებს დაკვრას, უკვე ვიცი, როგორ წავა მთელი კონცერტი. ირმა 5 წლის რომ იყო, ბახის ფა მინორული კონცერტს უკრავდა,

მაშინ კულისებში ჩემმა მეუღლემ მითხრა: ახლა ეს ბავშვი რომ მოტრიალდეს სცენიდან და გვითხრას, სახლში მინდაო, რა უნდა გავაკეთოთ? პატარა იყო ძალიან, მერე მეც ძალიან ვვლავადი, თუმცა ისეთი ნერვიულობა უკვე მოვიხსენი..." - ამბობს პიანისტის დედა თაკო ჩარკვიანი.

მსმენელის მოლოდინი... მენდელსონ-ბარტოლდის "შებრიდების" შემდეგ მოცარტის N21-ე (C dur) კონცერტი უნდა აჟღერდეს. პიანისტი და მათგან აგვიანებენ სცენაზე გამოსვლას... როგორც კი გამოჩნდებიან, ირმას რალაც სხვა სიხალისე შემოაქვს... ირმა გიგანი ამ საღამოს სოლისტია, პიანისტი, რომელიც არაჩვეულებრივად გრძნობს ამადეუსის ლირიკას. ისევ მოცარტის ფრაზები. როიალზე ირმა მშვიდად და

ლალად ასრულებს მოცარტის ოპუსს, როცა უსმენ, ვერ გრძნობ, რომ 13 წლის ბავშვი უკრავს, უკრავს უშუალოდ და ეს მისთვის სიამოვნებაა. იუნესკოსა და სპივაკოვის ფონდების სტიპენდიანტს დირიჟორი ხშირად უღიმის, გაკვირვებულიც უყურებს.

"მუსიკის შექსპირის" 21-ე კონცერტის სამნაწილიანი ფორმიდან Andante "რალაც სხვანაირად მოქმედებს" პიანისტზე, ეს თემა განსაკუთრებით უყვარს, ამბობს, რომ "ამ სევდამდგომია, მოცარტი რალაცას იხსენებს"... ამ მუსიკის ფერისა და სევდის პოეზიაში პატარა პიანისტის ბგერის ესთეტიკა პიანოზე ბრწყინავს, მისი შინაგანი რიტმი მიჰყვება ვირტუოზულ პასაჟებს, მერე რიტენუტოზე მისეულ სიღრმეს, სხვა შინაარს აძლევს მუსიკას და ასე გადაგიყვანს ვენის კლასიკის იმ ლამაზ რომანტიკაში, რომელიც იქვე განაგრძობს სიცოცხლეს. მისი კავშირი ორკესტრთან, თუნდაც ინსტრუმენტთან საოცრად გამომსახველია, ნაზ, ძლიერ ბგერებს გამოსცემს, ბგერათა ინტენსივობა მუსიკალური ნაწარმოების ცვალებადობასთან ერთად ვირტუოზულობამდე მიდის...

- ამ კონცერტის დაკვრა დიდი პიანისტებისთვისაც რთულია, მით უმეტეს, როცა ბავშვზეა ლაპარაკი. მას აქვს ის ტექნიკა, რაც სჭირდება მოცარტს. ჩემმა გაოცებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ძალიან ნიჭიერ არსებასთან გვაქვს შეხება. არაჩვეულებრივად დაუკრა, განსაკუთრებით კონცერტის მეორე ნაწილი, ფანტასტიკური იყო, ეს ჩემგან კომპლიმენტი. - ამბობს დირიჟორი.

მუსიკოსები, რომლებიც დიდი ხანია გრძნობენ ირმას ფენომენს, ამ კონცერტის "ბისზე" ირმასთან ისევ მუსიკას ითხოვდნენ. ბავშვური ლიმისი მერე მსმენელებმა შოპენის ვალსის ჰარმონია მიიღეს.

სამეფო ოპერას მხსნელი მოეპყდინა

ლონდონის სამეფო ოპერის თეატრმა სასიხარულო ცნობა მიიღო - პლასიდო დომინგო თანახმაა ითანამშრომლოს პროექტებში, რომლებიც "კოვენტ გარდენში" 2009-10 წლებში განხორციელდება.

პროგრამით, რომელშიც გაერთიანებული იქნება: "რომეო და ჯულიეტა", "გედების ტბა", მდინარე მზეთუნახავი" და ბალანჩინის ერთმოქმედებიანი ბალეტები. ვაგნერის ციკლზე დასასრულები ბილეთების ღირებულება 40-დან 840 ფუნტ სტერლინგამდე მერყეობს, ხოლო ბალეტების - 8,9-დან 95 ფუნტამდე.

პლასიდო დომინგოს არაერთი ჯილდო აქვს მიღებული. ამ ბოლოს მას შვედი საოპერო მომღერლის ბირგიტ ნილსონის სახელობის პრემია გადაეცა. France Press-ის ცნობით, პრემიის ფულადი ნაწილი ერთ მილიონ ლოლარს (792 ათასი ევრო) შეადგენს. ნილსონის სახელობის პრემია კლასიკური მუსიკის სფეროში პრესტიჟულია.

ბირგიტ ნილსონი 2005 წელს გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მან პლასიდო დომინგო საკუთარი პრემიის პირველ მფლობელად თავად აირჩია. თუმცა, მისი სახელი ლაურეატის გამოცხადებამდე საიდუმლოდ ინახებოდა. პრეს-რელიზში ნათქვამია, რომ ეს ჯილდო ესპანელს "საოპერო ხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის", "ორმოცწლიანი ლეგენდარული კარიერისათვის" და "130 როლის შესრულებისათვის" მიენიჭა. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამდენი საოპერო ხე-



ლოვნების ისტორიაში არც ერთ ტენორს არ უმღერია.

ნილსონსა და დომინგოს ერთად არაერთხელ უმღერია. პირველად ეს


1969 წელს, მეტროპოლიტენ ოპერის სცენაზე დადგმულ "ტოსკაში" მოხდა.

ბირგიტ ნილსონი ვაგნერის ოპერების ერთ-ერთ საუკეთესო შემსრუ-

ლებლად ითვლება. უკანასკნელად ის მაყურებლის წინაშე 1984 წელს გამოვიდა. შემსრულებელი 87 წლის ასაკში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია ადრეული ასაკიდან იწყება. სიმღერა ადრე დაიწყო. სამი წლის იყო, როდესაც დედამ, ასევე მომღერალმა, სათამაშო პიანინო უყიდა და გოგონამ მელოდიების აწყობა დაიწყო. მოზარდობისას საეკლესიო გუნდში მღეროდა, ხოლო 1941 წელს სამეფო მუსიკალურ აკადემიაში ჩააბარა. მისი დებიუტი 1945 წელს, კარლ ვებერის ერთ-ერთ ოპერაში შედგა, სადაც მან აგატას როლი შეასრულა.

მსოფლიო ნილსონი 1951 წელს გაიცნო, როდესაც გლაინდორნის ფესტივალზე ელექტრას პარტია შეასრულა მოცარტის ოპერადან "იდომენი, კრეტის მეფე". 1957 წლიდან ის მსოფლიო საოპერო თეატრების - "კოვენტ გარდენი", "ლა სკალა", მეტროპოლიტენ ოპერა - სასურველი სტუმარი გახდა. მისი რეპერტუარი მრავალფეროვანი იყო, ის მღეროდა პოუჩინის "ტურანდოტში" და ვერდის "მაკბეტშიც", მაგრამ სახელი მან განსაკუთრებით ვაგნერის ტეტრალოგიათა გაითქვა. კრიტიკოსები მასზე წერენ, რომ "ბირგიტ ნილსონის ხმა საოცარი სიზუსტითა და ძლიერებით გამოირჩეოდა".

დათო ტყეშელაშვილის ხუთშაბათი



დილოგი

იმ განცხადებაში, რომლის გამოც ყველაზე მეტად მაინც...

ეს უკანასკნელი ნოუშაუ მართლა ისეთი შოკისმომგვრელი...

დანარჩენი რომ თავი დაეხრებოდა, ხალხისთვის პატრულის...

თუმცა ხელისუფლების საჯარო მონოტონიზაცია პოლიციისადმი...

შეცდომას სრულიად შეგნებულად ვამბობ და არა დანაშაულს...

რაც შეეხება ოპოზიციას და მათი ლიდერების კატეგორიულობას...

კარგად მესმის რომ ძალადობა საპასუხო ძალადობას შობს...

საბედნიეროდ ქართველმა ხალხმა სამოქალაქო ომის შემდეგ...

თუმცა გამოსავალი ყოველთვის შეიძლება არსებობდეს...

რომც არ იყოს დიალოგის მომხრე, ხელისუფლებას უბრალოდ...

რუსუდან ჭყონიას მრავალგრანტიანი პროექტი მრავალშვილიანი დედების თანხლებით

ბალა ჩაქარიშვილი

2010 წლისათვის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დასაფინანსებლად...

რუსუდან ჭყონია კინოცენტრის დაფინანსებას 3 წელი ელოდა და მეოთხედ გაუმართლა...

სცენარი კი, რომელიც ცნობილ სკრიპტდოქტორს ასე ძალიან მოსწონს, სოციალური თემატიკისაა...

პროექტი ასევე პრიზით აღინიშნა 2006 წლის ბერლინალეს კოპროდუქციის მარკეტზე...

ამის შემდეგ ახალგაზრდა რეჟისორის პროექტმა ბელგრადის ფესტივალის პროექტების მარკეტზე მიიღო მონაწილეობა...

"გაიღიმა"



უკვე პროექტმა "გაიღიმა" კანის კინოფესტივალის სინემაფონდის Residence du festival-ის პროგრამაში...

რუსუდან ჭყონია: "ჩემთან ერთად იყო კიდევ 5 ახალგაზრდა რეჟისორი..."

ამის შემდეგ ახალგაზრდა რეჟისორის პროექტმა ბელგრადის ფესტივალის პროექტების მარკეტზე მიიღო მონაწილეობა...

ში სწორედ ჩემს სცენარზე მუშაობა განიხილა. პარიზში შესაძლებლობა გვქონდა შეხვედროდით ლეო კარაკს...

გარდა საინტერესო შეხვედრებისა, გვიხსნიდნენ, როგორ მუშაობს კინოინდუსტრიის სისტემა...

მანც რით იპყრობს უცხოელი კინემატოგრაფისტების ყურადღებას რუსუდან ჭყონიას სცენარი? როგორც ცნობილია რუმინელმა პროდიუსერმა...

ნიუ იორკში კინოფესტივალი

Tribeca იხსნება

ყოველწლიური კინოფესტივალი Tribeca წელს უკვე მერვედ იხსნება. გავრცელებული ინფორმაციით...

შემცირებაზეც ალაპარაკდნენ. მიუხედავად ამისა, ისინი არ აპირებენ თავიანთ ტრადიციულ ელემენტებზე უარი თქვან...

Tribeca-ს რამდენიმე "ექსპერტის" ვარაუდით, კინოფორუმის პროგრამის ოპტიმიზაცია თავისთავად მომწიფდა...



გორც სხვა მრავალი ფილმის დონე და ხარისხი, რომლებიც ადრე ამ ფესტივალზე იქნა ნაჩვენები...

პრობლემები ერთმანეთს ემთხვეოდეს. ზოგადად კი, ეს უნივერსალური ისტორიაა, ამ გმირებს ყველა თანაუგრძობს და ყველას აინტერესებს...

მოკლედ, ამდენი გრანტებითა და პრიზებით დახუნძლულ პროექტზე ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელობა ალაღად ამბობდა 3 წელი უარს...

გადაღებები 2010 წელს უნდა დაიწყოს. ამისათვის გარკვეული თანხა კიდევ მოსაძიებელია. მაგრამ კინოსექტორში მიმდინარე ძვრები რეჟისორს იმედს აძლევს...

წარმოების კასტინგი ერთხელ უკვე მქონდა და კიდევ ვექვ ტიპაჟებს, არ გამოვიცხავ, რომ არაპროფესიონალები იყვნენ - ამბობს რეჟისორი.

ჯერჯერობით კი, ბუკლეტზე, რომელიც პროექტს ფესტივალზე წარადგენდა, მრავალშვილიანი ქართველი დედების ნაცვლად Residence du festival-ის პროგრამაში მონაწილე რეჟისორების ფეხები ამშვენებს...

არ დამსახურებიათ. მიუხედავად ყველაფრისა, ამ წელს კინოფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ნამუშევრები 33 ქვეყნიდან, გაიმართება 48 მსოფლიო და 14 ჩრდილოამერიკული პრემიერა.

თიბისი ფონდი ყველაზე მეტ ქართულ კომპანიას აერთიანებს

ფონდის შემოწირულობამ 7,5 მილიონ ლარს მიაღწია

180 თრგანიზაცია და 200-ზე მეტი კერძო პირი – ასეთია თიბისი ფონდის დონორების სტატისტიკა. ისინი აგვისტოს კონფლიქტის დროს შეუერთდნენ თიბისი ბანკის ინიციატივას, შექმნილიყო საქველმოქმედო ფონდი, რომელიც შარშანდელი აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებულ ბავშვებს დახმარებას გაუწევდა. დღეს თიბისი ფონდი უკვე ახორციელებს დახმარების რამდენიმე პროგრამას, რომლებიც 5 ათასამდე დევნილ ბავშვს მოიცავს

აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული ადამიანების დახმარების მიზნით, 2008 წლის 13 აგვისტოს, თიბისი ბანკმა შექმნა საქველმოქმედო ფონდი, რომელშიც პირველი შენატანი თავად გააყეთა 5 მილიონი ლარის ოდენობით.

პირველივე დღეებში, თიბისი ბანკის ინიციატივას საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ მოქმედი კომპანიები, საერთაშორისო ორგანიზაციები და კერძო პირები გამოეხმაურნენ, რომლებმაც თავისი შენატანები გააყეთეს თიბისი ფონდში. ჯამში, თიბისი ბანკთან ერთად, მათ მიერ მიერ ფონდში ჩარიცხულმა თანხამ 7,5 მილიონი ლარი შეადგინა.

თიბისი ბანკი, "ბაგრატიონი 1882", "ელთი ჯგუფი", "ბათუმის საზღვაო ნავსადგური", "ბათუმის ნავთობ-ტერმინალი", "ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი", "ბარვილ ჯორჯია", "აგროინვესტბანკი", "მინა", "ნავსისის ველი", "ვისოლ პეტროლიუმი" - ეს იმ ორგანიზაციათა არასრული ჩამონათვალია, რომლებმაც თიბისი ფონდში საკმაოდ მსხვილი თანხები შეიტანეს, და ეს ყველაფერი, ქვეყანაში არსებული დაძაბული ვითარებისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე მოხდა.

ვასილ ხორავა, „ვისოლი“ ბანკალური დირექტორი: "თიბისი ბანკის ინიციატივას გამოვეხმაურეთ და თიბისი ფონდში 20 ათასი ლარი შევიტანეთ დაზარალებული ოჯახებისა და ბავშვების დასახმარებლად. ბანკმა შეძლო საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ მოქმედი ბევრი კომპანია, საერთაშორისო ორგანიზაცია და კერძო პირი ჩართოს საკუთარ ინიციატივაში და მიზნობრივად განეხორციელებინა საინტერესო გრძელვადიანი პროექტები".

ლიკა კაკანაძე, "ბაგრატიონი 1882"-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი: "ბაგრატიონმა თიბისი ფონდში 1 მილიონი დოლარი შეიტანა, რადგან ვთვლით, რომ ეს ფონდი შეძლებს და კოორდინირებულად დაეხმარება აგვისტოს კონფლიქტის დროს დაზარალებულ მოსახლეობას და მათ მთელ რიგ პრობლემებს მოუგვარებს. რა თქმა უნდა, ჩვენს მიერ გადარიცხული თანხას ვაკონტროლებთ. მუდმივად ხდება ანგარიშის გენერალური დირექტორთან და აქციონერებთან წარდგენა. ყოველთვის საქმის კურსში ვართ და შემოძლია დავადასტურო, რომ თიბისი ფონდი მართლაც ეფექტურად განაგრძავს ფონდში არსებულ თანხებს".

თამარ ნალირაშვილი, "ელიზი ჯგუფის" მარკეტინგის მენეჯერი: "მაქსიმალურად ვცდილობთ გვერდზე დავედგეთ გაჭირვებულ ადამიანებს, განსაკუთრებით კი, აგვისტოს კონფლიქტის დროს დაზარალებულებს და გამოძინარე იქიდან, რომ ჩვენს კომპანიას თიბისი ბანკის მიმართ დიდი ნდობა აქვს, გადავწყვიტეთ 100 ათასი ლარი სწორედ თიბისი ფონდში გადაგვერიცხა."



ფონდის საქმიანობის პირველი ეტაპზე გადაუღებელი ჰუმანიტარული დახმარებისთვის ფონდმა 200 ათასი ლარი გამოყო. ამ თანხით მოხდა თბილისისა და რუსთავის სხვადასხვა ობიექტებში დროებით განსახლებული 6,000-მდე დევნილის მომარაგება პირველადი საჭიროების ნივთებით.

ფონდის თანადგომით განხორციელდა საქველმოქმედო აქციები, რომლებიც დაზარალებულთა დასახმარებლად სახსრების მოზიდვას ისახავდა მიზნად. მათ შორის ყველაზე მასშტაბური იყო ჰაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ "იავნანას" მიერ ინიცირებული ულასიკური მუსიკის საქველმოქმედო კონცერტი.

ამ ღონისძიების შედეგად 5 საცხოვრებელი ბინა იქნა შეძენილი უსახლკაროდ დარჩენილი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, მეურვეობა დაწესდა განსაკუთრებით გაჭირვებულ რამდენიმე ბავშვზე და გაიცა ერთჯერადი დახმარებები.

დღეისთვის, თიბისი ფონდი სამ ძირითად გრძელვადიან პროექტს ახორციელებს:

ღვინილი ორსული ქალებისა და ახალშობილების ბრძალვადიანი დახმარება თიბისი ფონდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია. ეს პროექტი ითვალისწინებს აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებული ყველა ორსულის და ახალშობილის დახმარებას.

პროგრამის ფარგლებში, თიბისი ფონდი ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას უწევს ორსულ ქალებს და ეს დაფინანსება გრძელდება ბავშვის დაბადებიდან 1 წლის მანძილზე - საშუალოდ თითოეულ ოჯახზე 15 თვის განმავლობაში.

გარდა ამისა, ყოველ დაბადებულ ბავშვზე დამატებით გაიცემა ერთჯერადი თანხა, ახალშობილისთვის ნივთების შესაძენად. თიბისი ფონდის ყოველთვიური დახმარებით შესაძლებელი იქნება დედის და ახალშობილის პირადი ჰიგიენის ნივთებით სრულად უზრუნველყოფა.

პროექტი 2 000-ზე მეტ დედას და ამდენივე ახალშობილს მოიცავს. დღეისთვის უკვე დაბადებულია 1600-მდე ჩვილი, ხოლო უახლოეს 1 თვეში კიდევ 400-ზე მეტი ბავშვი დაიბადება. ამ ბავშვებზე, პროექტის ფარგლებში, თიბისი ფონდის მიერ, ჯამურად 2 მილიონ ლარამდე გაიცემა.

თიბისი ფონდის მეორე გრძელვადიანი პროექტია **წარმოშობის სკოლის მშენებლობა**, რომლის ფართი დაახლოებით 6 000 კვ. მეტრი იქნება და 2 000 მოსწავლეზე იქნება გათვლილი. პროექტის ბიუჯეტი - 4 მილიონი ლარია და მისი დასრულება 2009 წლის სექტემბრისთვის არის დაგეგმილი. სკოლის მშენებლობას ახორციელებს "ახალი სამშენებლო კომპანია".

მესამე მიმდინარე პროექტი გულისხმობს საომარი მოქმედებების შედეგად განსაკუთრებული ფიზიკური დაზიანებების მქონე ორი მოზარდის **ბრძალვადიანი მუშაობას**. პროექტის ბიუჯეტი 80 000 ლარია და ეს თანხა მთლიანად მოხმარდება ამ ბავშვების სამედიცინო პრობლემების მოგვარებასა და მათი მომავლის უზრუნველყოფას.

სპორტი

პლატინი რასიზმის წინააღმდეგ

“იუვენტუსისა” და “ინტერის” მატჩში მომხდარი ინციდენტი ამჟამად საფეხბურთო ევროპის განსჯის თემადა იქცა.

18 აპრილს ტურინში “დელე ალპის” სტადიონზე იტალიური დერბი გაიმართა, შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა, რითაც “იუვენე” ფაქტობრივად დაკარგა მილანური კლუბის დაწვევის შანსი, ხოლო “ინტერმა” ფაქტობრივად ჩემპიონის ტიტული გაიფორმა. “ბებერი ქალბატონის” კარში ერთადერთი გოლი “ინტერის” შავკანიანმა ფორვარდმა მარკო ბალოტელიმ გაიტანა, ცხადია “იუვენეს” ფანები ამ გოლით ვერ გაიხარებდნენ, თუმცა ის რაც გოლის შემდეგ მოხდა ნამდვილად აღმამაფრთხილია. ტრიბუნებიდან ბალოტელის მისამართით რასისტული სახის შეძახილები ისმოდა. იტალიის საფეხბურთო კავშირმა საკმაოდ სწრაფად განიხილა ეს საკითხი და “იუვენტუსის” მომდევნო საშინაო მატჩს ცარიელი ტრიბუნების თანხლებით ჩაატარებს, მართალია თვად ტურიწული კლუბის მესვეურებს სასჯელი ნამეტანი მკაცრად მიაჩნიათ და ფედერაციაში აპელაციის შეტანას გეგმავენ.

საეჭვოა, რომ იტალიური ფეხბურთის მამებმა ვერდიქტი შეცვალონ, მით უმეტეს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია უფას პრე-



პლატინი რასიზმს ებრძვის

ზიდენტმა მიშელ პლატინიმ დააფიქსირა.

პლატინის მიაჩნია, რომ ტრიბუნებზე რასისტული გამოხდომების შემთხვევაში მსაჯვემა მატჩი ათი წუთით უნდა შეაჩეროს და სტადიონზე ეს განწყვეტილება ხმაყვილი უნდა გამოცხადდეს, თუ მატჩის განახლების შემდეგ ფანები არ დაშორდებიან და ანალოგიური უმსგავსობა განმეორდება მატ-

ჩი საერთოდ უნდა შეწყდეს.

უფას პრეზიდენტის აზრით ეს მეთოდი ქმედითი იქნება და რასისტული სახის გამოხდომები შემცირდება.

აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ 2006 წელს ფიფა და უფას გეგმავდნენ სხვა ზომების მიღებას. კერძოდ თუ სტადიონზე რასისტული გამოხდომები დაფიქსირდებოდა, იმ გუნდს, რომლის ფანებიც ამას გააკე-

თებდნენ სატურნირო ცხრილში ქულები დააკლებოდა, თუმცა ამ იდეამ ხორცშესხმა ერთი მარტივი მიზეზის გამო ვერ ჰპოვა. საქმე ისაა, რომ ასეთი წესის შემოღების შემთხვევაში იყო იმის საშიშროება, რომ ერთი გუნდის ფანთა სექტორში მეორე გულშემატკივრები შეიპარებოდნენ და სპეციალურად მიაყენებდნენ შეურაცხობას ფეხბურთელებს.

ზლატანი "ინტერს" ვერ დატოვებს

მოახლოვდა საფეხბურთო სეზონის დასასრული და ახლა უკვე სულ უფრო ხშირად საუბრობენ ამა თუ იმ სავარაუდო ტრანსფერზე. მილანის “ინტერის” შვედი ფორვარდის ზლატან იბრაგიმოვიჩის შექენაზე ცხადია არც ერთი გუნდი არ იტყვის უარს და იყო იმის ვარაუდიც, რომ ზლატანი ზაფხულის სატრანსფერო ბაზრის ყველაზე მსუყე ლუკმადაც იქცეოდა, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შვედი “ინტერს” არ დატოვებს. ამის მიზეზი კი მხოლოდ ის როდი გახლავთ, რომ “ინტერს” ფეხბურთელთან განშორება არ სურს და არც თავად ზლატანი არის შეპყრობილი კლუბის შეცვლის იდეით, საქმე ისაა, რომ იბრაგიმოვიჩი გუნდიდან წასვლაც, რომ სურდეს ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელი იქნება და ამის მთავარი მიზეზი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ყოფილა.

ცნობილია, რომ “ინტერის” მესვეურებმა იბრაგიმოვიჩის სატრანსფერო თანხა უკვე დაასახლეს - 100 მილიონი ევრო. რა თქმა უნდა თანხა სოლიდურია, მაგრამ მთავარი პრობლემა ეს როდია, საქმე ისაა, რომ ზლატანის ხელფასი ამჟამად წელიწადში 12 მილიონ ევროს შეადგენს და თუ იტალიელ ექსპერტებს დავუჯერებთ ამჟამად ასეთი ხელფასის გადახდელი გუნდის მორძებნა თითქმის შეუძლებელია.



“იბრა” “ინტერში” დარჩება

ფიფას აგენტმა და ტრანსფერების ექსპერტმა ერნესტო ბრონცეტომ “ევროსპორტთან” საუბარში განაცხადა: “არა მგონია, რომ რომელიმე ევროპულმა გრანდმა ამდენად ისეთი ფეხბურთელი შეიძინოს, რომელსაც ყოველწლიურად 12 მილიონს გადაუხდის. თავისთავად იბრაგიმოვიჩის სატრანს-

ფერ თანხაც სოლიდურია, თუმცა ეს 100 მილიონი ერთჯერადად არის გადასახდელი და კლუბს ამ ფულის გადახდაში შესაძლოა სპონსორიც დაეხმაროს, აი ფეხბურთელის ხელფასის გადახდა კი შემდეგ იქნება საჭირო, თანაც ზლატანთან ერთ ან ორ წლიან კონტრაქტს ვერ გააფორმებენ, კონტრაქტი

გრძელვადიანი უნდა იყოს და ამ ვითარებაში თუ ეკონომიკურ კრიზის გავითვალისწინებთ ყოველწლიურად 12 მილიონი ევრო ნებისმიერი კლუბის ხაზინას მიაყენებს დარტყმას. შესაბამისად იბრაგიმოვიჩის ტრანსფერი ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება და ჩემი აზრით იგი “ინტერში” გააგრძელებს თამაშს”.

ქვაცაბაია აღმართაში წარმატებით თამაშობს

უზბეკეთის ქალაქ აღმართაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდიც 10 ათასი დოლარია, ქართველმა ჩოგბურთელმა სოფო ქვაცაბაიამ მეოთხედფინალში გასვლა შეძლო. მეოთხედფინალში სოფოს პირისპირ პირველი რეიტინგის მქონე უკრაინელი ტეტიაანა არეფიევა დადგება.

სალუქვაძე ბრუნდება

ყაზანის “რუბინისა” და საქართველოს ნაკრების მცველმა ლაშა სალუქვაძემ, მოსკოვის “დინამოსთან” გამართულ შეხვედრაში მიღებული კოჭის ტრავმამ მოიშუშა და ახლა უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს. ამის შესახებ რუსულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია.

პეპემ მოიბოდიშა

“რეალისა” და “ხეტაფეს” მატჩში მადრიდელთა პორტუგალიელმა მცველმა პეპემ იუზემა, რის გამოც იგი მინდვრიდანაც გააძვეს. პეპემ საკუთარ საჯარო მოხელე კასკერო მოცვალა, შემდეგ კი დავარდნილ მეტოქეს ბუცებით გადაუარა.

მატჩის დასრულების შემდეგ პორტუგალიელმა ჟურნალისტებთან ისაუბრა და მომხდარის გამო ყველას ბოდიში მოუხადა.

“ძალიან გაღიზიანებული ვარ. თამაშისგან გამონეულმა ემოციამ თავისი გაიტანა. ჩვენ, ადამიანები, შეცდომებისგან დაზღვეულნი არ ვართ. ძალიან მნიშვნელოვანია ამის აღიარება. ყველას ბოდიშს ვუხდით - ქომაგებს, “რეალს”, კასკეროს. თამაშის შემდეგ მას ვერ ვისაუბრე და ახაპრესის საშუალებით ბოდიშს მოვუხედი. არ ვიცი რა დამემართა. მომხდარს ახსნას ვერ მოვუძებნი. ვერ გეტყვი, როგორი სასჯელი მომელის, მაგრამ მინდა განვაცხადო, რომ უხეში არ ვარ. ამ სეზონში ბევრი გაფრთხილება არ მიმიღია, შეიძლება დისკვალიფიკაციის გამოტანისას ეს ფაქტი გაითვალისწინონ” - დასძინა პეპემ,

სქოულზი საიუბილეო მატჩის მოლოდინშია

პრემიერლიგის მომავალ ტურში “მანჩესტერი” “პორტსმუთს” დაუპირისპირდება და ეს შეხვედრა მე-600 იქნება პოლ სქოულზისთვის, რომელსაც იგი “მანჩესტერ იუნაიტედის” მაისურით გამართავს.

“საოცარია ის, რომ სხვა გუნდებს ჩვენთვის პოლის შექენის მიზნით არასდროს მოუშარათავთ. იცით რატომ? ყველა შესანიშნავად ხვდება, რომ მას აქედან წასვლა არ სურს. ჩემს სიაში, რომელშიც ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელები არიან თავმოყრილნი, სქოულზი მეექვსე, ან მეშვიდე ადგილზე იმყოფება. ჩვენს წარმატებებში მან უდიდესი წვლილი შეიტანა, ხოლო მის მიერ გატანილი ზოგიერთი გოლი, გუნდისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა” - ამბობს სერ ალექს ფერგიუსონი, რომლისთვისაც პოლ სქოულზი ნამდვილად შეუცვლელი ფეხბურთელია.

პეროტა კარიერას “რომაში” დაასრულებს

“რომას” ნახევარმცველმა სიმონე პეროტამ განაცხადა, რომ კარიერის დასრულება რომაულ კლუბში სურს. ამით პეროტამ ბოლო მოუღო იმ ჭორებს, რომლებიც მის შესაძლოა ინგლისში შესაძლოა გადასვლას უკავშირებობოდა.

